GORI TOURISM OPPORTUNITIES FOR SUSTAINABLE GROWTH AND MODERN CHALLENGES

გორის ტურისტული შესაძლებლობები მდგრადი ზრდისთვის და თანამედროვე გამოწვევები

Maia Azmaiparashvili
Doctor of Ecology,
Assoc. Professor of Gori State University
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995 577771135, maiaazmaiparashvili@gmail.com
https://orcid.org/ 0000-0002-7868-5463

Abstract. Taking into account almost all components of the concept of sustainable development, there are significant challenges in the field of tourism today. Less attention is paid to regional tourism destinations, in particular to the problems of its sustainability. One of the main directions of the national economic policy is the effective use of the economic potential of the regions, the creation of competitive development conditions and the achievement of sustainable development. Georgia's strategic goal is integration into European structures, it is important to make the country a high-quality, competitive tourist destination for European tourism. Just as the spending of tourists from the EU countries will positively affect the economic development of the regions of Georgia. The planning of local economic tools in the post-pandemic period puts on the agenda the harmonized use of tourism development resources, the study of its characteristics, and the promotion of sustainability issues of the tourist complex. In the paper, we tried to evaluate the possibilities of the tourist complex of the city of Gori, how compatible the current reforms are with the principles of tourism sustainability. We discussed the problems in the tourist area related to the city's vitality and economic development. We discussed the results of the project "Strengthening local economic capacity for sustainable growth" funded by the European Union. We analyzed the actual results represented by measurable statistical data at the local level, which shows the number of visitors, tourist arrival figures, visits or one-day visitors, latent demand from tourists for tourism products and supply problems. We analyzed The development of sustainable and quality-oriented tourism of the tourist complex and recommendations were made. The methodological basis of the work is qualitative research methods, analysis of qualitative textual information, processing of theoretical material of a scientific nature, logical, economic analysis - which means, on the one hand, the processing of analytical material presented in open sources, on the other hand, the development of tourism complex assessment of resources and statistical analysis.

Key words: Sustainable Development, Green City, Priorities, Global Strategy, Tourism planning.

მაია აზმაიფარაშვილი
ეკოლოგიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53,1400, საქართველო
+995 577771135, maiaazmaiparashvili@gmail.com
https://orcid.org/ 0000-0002-7868-5463

აბსტრაქტი. მდგრადი განვითარების კონცეფციის თითქმის ყველა კომპონენტის გათვალისწინებით დღეს ტურიზმის სფეროში მნიშვნელოვანი გამოწვევებია. ნაკლები ყურადღება ეთმობა რეგიონული ტურისტული დესტინაციებს, კერძოდ მისი მდგრადობის პრობლემებს. ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითადი მიმართულებას წარმოადგენს რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის ეფექტური გამოყენება, კონკურენტუნარიანი განვითარების პირობების შექმნა და მდგრადი განვითარების მიღწევა. საქართველოს სტრატეგიული მიზანია ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, მნიშვნელოვანია ქვეყანა გახდეს მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი ტურისტული დანიშნულების ადგილი ევროპული ტურიზმისათვის. ისევე, როგორც ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების დანახარჯები დადებითად აისახოს საქართველოს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე. ადგილობრივი ეკონომიკური ინსტრუმენტების დაგეგმვა პანდემიის შემდგომ პერიოდში დღის წესრიგში აყენებს ტურიზმის განვითარების რესურსების ჰარმონიზებულ გამოყენებას, მისი მახასიათებლების შესწავლას, ტურისტული კომპლექსის მდგრადობის საკითხების წინ წამოწევას. ნაშრომში შევეცადეთ შეგვეფასებინა გორის ტურისტული კომპლექსის შესაძლებლობები, რამდენად თავსებადია მიმდინარე რეფორმები, ტურზმის მდგრადობის პრინციპებთან მიმართებით. იდენტიფიცირდა გამოწვევები, რომელიც ეხება ქალაქის სიცოცხლისუნარიანობას, ეკონომიკურ განვითარებას. გავაანაალიზეთ მიღწეული პროგრესი, ევროკავშირის მხარდაჭერით დაფინანსებული პროექტის „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის" შედეგები. ასევე, ადგილობრივ დონეზე გაზომვადი სტატისტიკური მონაცემებით წარმოდგენილი ფაქტობრივი შედეგები, რომელიც მეტყველებს ვიზიტორთა რაოდენობაზე, ტურისტული ჩამოსვლის მაჩვენებლებზე, ტურისტთა განწყობა დანიშნულების ადგილზე, როგორია მათი ვიზიტი ერთდღიან ვიზიტორები თუ ტურისტული ვიზიტები, ტურისტების მხრიდან ლატენტური მოთხოვნა ტურისტულ პროდუქტზე და მიწოდების პრობლემები. კვლევის შდეგად გამოვლინდა ტურისტულ კომპლექსში სხვადასხვა პრობლემები მდგრადი და ხარისხზე ორიენტირებული ტურიზმის განსავითრებასთან დაკავშირებით და ჩამოყალიბდა რეკომენდაციები. ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თვისებრივი კვლევის მეთოდები, თვისებრივი ტექსტური ინფორმაციის ანალიზი, სამეცნიერო ხასიათის თეორიული მასალის დამუშავება ლოგიკური, ეკონომიკური ანალიზი - რაც გულისხმობს ერთის მხრივ ღია წყაროებში წარმოდგენილი ანალიტიკური მასალის დამუშავებას, მეორე მხრივ ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსურ შეფასებას და სტატისტიკურ ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება; პრიორიტეტები; გლობალური; ტურიზმი;

შესავალი. საქართველო ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე ცდილობს ევროპული საუკეთესო პრაქტიკის გადმოტანას, ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ისწრაფვის გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. აღნიშნული მიზნის შესაბამისად ევროკავშირთან ჰარმონიზაციის პროცესში მიმდინარე რეფორმები მთელ რიგ სფეროებზე ახდენს გავლენას, აღსანიშნავია საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი სტრატეგიული დარგი ტურიზმი. ტურიზმს, როგორც ეკონომიკის დარგს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რეგიონებისთვის, მას დასაქმების მზარდი შესაძლებლობები, ადგილობრივი ბიზნესისთვის ფულადი შემოსავლების მოტანა და რეგიონის ეკონომიკური წინსვლა შეუძლია.

ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითადი მიმართულებას წარმოადგენს რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის ეფექტური გამოყენება, კონკურენტუნარიანი განვითარების პირობების შექმნა და მდგრადი განვითარების მიღწევა. მნიშვნელოვანი ამოცანაა ქვეყანა გახდეს მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი ტურისტული დანიშნულების ადგილი ევროპული ტურიზმისათვის. ისევე, როგორც ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების დანახარჯები დადებითად აისახოს საქართველოს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე. საინტერესოა იმის კვლევა, თუ რა გავლენა აქვს ევროკავშირის პოლიტიკას ჩვენს ქვეყანაზე და ამ თვალსაზრისით თანამედროვე პირობებში ტურიზმის განვითარება რა მასშტაბებს იძენს.

„ევროპასთან ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ტურისტებისთვის მიმზიდველ ქვეყანას პასუხისმგებლობას და მოტივაციას უზრდის. ორმხრივი და ევროპის დონეზე თანამშრომლობა უნდა ეფუძვლებოდეს შემდეგ პრინციპებს: ა)ადგილობრივი თემების, თვითმყოფადობისა და ინტერესების პატივისცემა, ადგილობრივი განვითარების საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება; ბ) კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა; და გ) ტურიზმსა და გარემოს დაცვას შორის პოზიტიურ ურთიერთქმედებას. ვფიქრობთ, სწორედ ეს გამოწვევები ადეკვატურად უნდა იყოს აღქმული ჩვენს შემდგომ მოქმედებებში (https://mfa.gov.ge).

როგორც ქოი და სირაკაია ამტკიცებს, მდგრადი ტურიზმის წარმატებულად განხორციელება საჭიროებს - ხედვის, პოლიტიკის, დაგეგმვის, მენეჯმენტის, მონიტორინგის, საზოგადოებრივი სწავლის პროცესებს და საზოგადოების სრულ მონაწილეობას განვითარების პროცესში (Choi & Sirakaya, 2005)

ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად უნდა დაიძლიოს ბარიერები ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ მოახდინა მდგრადობისადმი მიდგომის ადაპტირება ტურიზმთან და მდგრადი განვითარების პრინციპები მიმართა ტურიზმის დაგეგმვისა და განვითარების ყველა სტადიაზე: „ტურიზმის მდგრადი განვითარება აკმაყოფილებს თანამედროვე ტურისტთა და მასპინძელი რეგიონების მოთხოვნებს და იმავდროულად იცავს და აფართოებს შესაძლებლობებს მომავლისათვის. იგი ითვალისწინებს ყველა არსებული რესურსის მენეჯმენტს იმგვარად, რომ კულტურული ხელშეუხებლობის, არსებითი ეკოლოგიური პროცესების, ბიოლოგიური მრავალფეროვნების და სიცოცხლის ხელშემწყობი სისტემების სათანადო მოვლა-პატრონობასთან ერთად დაკმაყოფილდეს ეკონომიკური, სოციალური და ესთეტიკური მოთხოვნები“ (UNWTO and UNEP, 2005).

საქართველოში დღეს ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთ ყველაზე მზარდ და პერსპექტიულ სექტორს წარმოადგენს. დღის წესრიგში დგება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ტურისტული პოტენციალის უკეთ შესწავლა, გაანალიზება და შესაბამისი

ქმედებების განხორციელება, რათა მოხდეს ამ მზარდი სექტორის სწორად და ოპტიმალურად განვითარება. აღსანიშნავია, რომ ქართული ტურისტული პოტენციალის გამდიდრებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ქალაქი გორი. ნაშრომში განვიხილეთ გორის ტურისტული კომპლექსის სპეციფიკური თავისებურებები და ძირითადი გამოწვევები. იდენტიფიცირდა მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობის პრობლემატიკა, საკანონმდებლო და საჯარო პოლიტიკის განხორციელების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების საჭიროება. წარმოჩინდა ადგილობრივ დონეზე გაზომვადი სტატისტიკური მონაცემებით წარმოდგენილი ფაქტობრივი შედეგები, რომელიც მეტყველებს ვიზიტორთა რაოდენობაზე, გაანალიზდა ტურისტული ჩამოსვლების მაჩვენებლები, რმელიც უკავშირდება ერთდღიან ვიზიტორებს. გამოვლინდა ტურისტების მხრიდან ლატენტური მოთხოვნა ტურისტულ პროდუქტზე და მიწოდების პრობლემები. ასევე ნაშრომში ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის“ მნიშვნელობაზე, კომპლექსურად შეფასდა ქალაქის ტურისტული განვითარება მდგრადი და ხარისხზე ორიენტირებული ტურიზმის განვითარების ჭრილში და ჩამოყალიბდა რეკომენდაციები.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თვისებრივი თეორიული კვლევა, ტექსტური ინფორმაციის ანალიზი საკითხთან დაკავშირებით. სამეცნიერო ხასიათის თეორიული მასალის დამუშავება ლოგიკური, ეკონომიკური ანალიზი - რაც გულისხმობს ერთის მხრივ ღია წყაროებში წარმოდგენილი ანალიტიკური მასალის დამუშავებას, სამეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის კვლევების გაანალიზებას, მეორე მხრივ ტურიზმის განვითარების რესურსების კომპლექსურ შეფასებას და სტატისტიკურ ანალიზს. გაანალიზებულია ვიზიტორთა სტატისტიკა გორის მუნიციპალიტეტში, ჩარტარდა პირდაპირი ინტერვიუების მეთოდის გამოყენებით კვლევა.

ლიტერატურის მიმოხილვა. ნაშრომის თეორიული საფუძველს წარმოადგენს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების, რეგიონების ტურიზმის რესურსული ბაზის შეფასების და განვითარების საკითხები, მეცნიერთა გამოკვლევები და სახელმძღვანელოები. ტურიზმის განვითარებას შიდა ქართლში სხვადასხვა კუთხით იხილავდნენ მკვლევარები ვ. არღუთაშვილი, ნ. გრძელიშვილი, ნ. პავლიაშვილის, მ. მეტრეველი, ლ. ყორღანაშვილი, მ. უკლება, რ. მაღლაკელიძე და სხვა. განხილულია საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა. შესწავლილია ტურიზმის ინდუსტრიის, საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ფორმირების, გლობალიზაციისა და ევროპიზაციის შესახებ ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ ჩატარებული კვლევები და განხილულია მათი მოსაზრებები, მიდგომები და მიგნებები.

შედეგები/დისკუსია. კვლევის შედეგად მიღებული შედეგები და რეკომენდაციები, რომელთა პრაქტიკაში განხორციელება დადებითად აისახება ქალაქ გორში ხარისხზე ორიენტირებული ტურიზმის განვითარებაზე. მნიშვნელოვანია ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება, რომელიც ასევე, უკავშირდება ტურიზმის ინდუსტრიის მდგრად განვითარებას.

ურბანული დაგეგმარების პროცესში პრიორიტეტული საკითხების/სფეროების წონების განაწილების თვალსაზრისით, ქალაქი გორი გამოირჩევა როგორც მისი განვითარება-

ფორმირების ისტორიით, ასევე პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით და შესაბამისად საქვეყნო სტრუქტურაში მისი ფუნქციით.

ქალაქ გორის ტერიტორია უძველესი დროიდან იყო დასახლებული, ამ ფაქტს ადასტურებს აღმოჩენილი სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლი, მათ შორის კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე, რომლის ყველაზე ადრეული ფენები ბრინჯაოს ხანისაა. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობით, XVII საუკუნის 70-იან წლებში იგი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო. გორი მატიანეებში VII საუკუნიდან იხსენიება. მისი სახელწოდება წარმოდგება ქალაქში აღმართული კლდოვანი გორაკისაგან, რომელზეც გაშენებულია ძველი ციხესიმაგრე. უძველესი ნამოსახლარები, ტაძრები და ციხე-სიმაგრეები მრავალი ეპოქის შესახებ ინახავენ ცნობებსა და ისტორიებს. გორის ტერიტორიაზე მრავალი კულტურული, ისტორიული თუ მხატვრული ღირებულების არტეფაქტია აღმოჩენილი. ლამაზი ბუნებითა და კულტურული ძეგლების სიმრავლით გამოირჩეულ გორის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარებისთვის უზარმაზარი შესაძლებლობები გააჩნია.

პოპულარულ ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს მიეკუთვნება უფლისციხე და სტალინის სახლ-მუზეუმი, რომელსაც მიმზიდველ კოლორიტს უქმნის ანტიკური აკროპოლისი – გორის ციხე. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია, რომელიც ყოველწლიურად უამრავ სტუმარს იღებს მოგზაურობის მიზნით და ამით, დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. გორის მუნიციპალიტეტში ტურისტული ატრაქციებიდან ასევე მიმზიდველია ატენის სიონის ტაძარი, ვერის ციხე, გორიჯვარი, ერეკლეს აბანო და სხვ. შიდა ქართლის ტერიტორიაზე 1349 უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. აქედან 118 ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიისაა. გორის მუნიციპალიტეტში სულ კულტურული მემკვიდრეობის 136 ძეგლია, მათ შორის 53 უშუალოდ ქალაქ გორში მდებარეობს (https://www.heritagesites.ge/ka).

გორის ციხე პირველად ისტორიულ წყაროებში მხოლოდ VII ს-ში იხსენიება. გორის ციხე ერთ-ერთი უძლიერესი და კარგი კონსტრუქციის ციხეა საქართველოს მასშტაბით. არქიტექტურული ძეგლი დგას ქალაქის ცენტრში, კლდოვან ბორცვზე. ციხის მნიშვნელოვანი ნაწილი განვითარებულ ფეოდალურ ხანას განეკუთვნება, ნაწილი – XVII საუკუნის შუა ხანებს. ციხე შედგება ორი დიდი მონაკვეთისაგან: ზედა პლატოზე მდებარე ოვალური ციტადელისა და დასავლეთით ფერდობზე ნაგები ,,ცხრაკარასაგან“. ციტადელის აღმოსავლეთ მონაკვეთში მცირე ეკლესიის ნანგრევებია. ეკლესია თარიღდება XI-XII სს-ით. ციხე ძირითადად ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. აქა-იქ გამოყენებულია აგურიც. ძირითადი ნაწილი აღდგენილია 1632-33 წწ., როსტომ მეფის მიერ. დღევანდელი სახე ციხემ 1765 წელს მიიღო, როცა იგი საფუძვლიანად შეაკეთა მეფე ერეკლე II-მ. ციხე მნიშვნელოვანი სტრატეგიული სიმაგრე იყო. მისი დაუფლება ნიშნავდა პოლიტიკურ ბატონობას მთელ შიდა ქართლზე (http://www.dzeglebi.ge/). ქალაქის ცენტრალურ ნაწილს (გორის ციხის უბანს) მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვს ძველი ისტორიული უბნის იერსახე, სადაც დაცულია შენობების არქიტექტურული სტილი (ძირითადად ეს შეეხება ძეგლის სტატუსის მქონე შენობებს), ვიწრო ქუჩების განლაგება და ძველი უბნის დაგეგმარება. რამოდენიმე წლის წინ მოხდა წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია. აღდგა ძველი იერსახით ეს ტერიტორია. აქ მაცხოვრებლებს საშუალება მიეცათ გარკვეული საქმიანობის წამოწყების საშუალება.

გორში დაიწყო ტურისტული კომპლექსის განვითარება, ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც 2018 წელს ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში შემუშავდა, ეს პროექტი ერთის მხრივ ტურისტული პოტენციალის ზრდის საფუძველია, ხოლო მეორეს მხრივ რეგიონის სოციალური მდგომარეობის

გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა. პროექტის „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის“ საერთო ბიუჯეტი იყო 958 836 ევროა, საიდანაც ევროკავშირისგან გრანტის სახით 600 000 ევრო გამოიყო, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების წილი კი 358 836 ევრო. პროექტის მიზანია განავითაროს ტურისტული ინფრასტრუქტურა, მათ შორის, სარეკრეაციო პარკი ქალაქის ცენტრში, ახალ ტურისტულ საინფორმაციო ცენტრი, საგამოფენო სივრცეებს, ავტომობილების საპარკინგო ადგილები, საველოსიპედო ინფრასტრუქტურა და ველოსიპედების დაქირავების სერვისს, ოსტატებისთვის სამუშაო სივრცეები. ვიზიტორებისთვის ქალაქის ადაპტირება, მისი კულტურისა და ისტორიის მაქსიმალურად გაცნობა, დასვენების სასიამოვნო და მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზება, ქალაქში ტურისტების უფრო ხანგრძლივად დარჩენა და კვლავ დაბრუნების სურვილის გაჩენა. პროექტის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდა: ოსტატები, ტურიზმის სექტორში მცირე და საშუალო ზომის საწარმოები (SMEs), ადგილობრივი მეწარმეები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ტურიზმის სექტორით დაინტერესებული სტუდენტები და ახალგაზრდები. პროექტის მთავარი მიზანი გორის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნა. პროექტი მიზნად ისახავდა შემდეგი სამი ამოცანის შესრულებას:

1) ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის სექტორში მეტი ინვესტიციის
მოზიდვა;

2) ტურიზმის სექტორში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (SMEs) ახალი შესაძლებლობების შექმნა, მათი შესაძლებლობების განვითარება და შემოსავლის ზრდა;

3) ტურიზმის სფეროში ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების, სტუდენტებისა და ახალგაზრდების პროფესიული უნარების გაუმჯობესება სტაჟირებების, ტრენინგ-კურსებისა და ბიზნეს რჩევის სერვისების საშუალებით.

პროექტის პარტნიორი გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი - უზრუნველყოფს 200m^2 სამუშაო სივრცესა და სამუშაო შეხვედრებს ეროვნული ხელნაკეთი ნივთების ან/და სხვა სუვენირებისა და პროდუქტების წარმოებისთვის. სამუშაო შეხვედრების სივრცე მოიცავს: სამკერვალო მაღაზიას ტრადიციული კოსტიუმებისთვის, ტრადიციული ქართული პურის საცხობს, ხალიჩის ქსოვის მასტერკლასებს, ღვინის დეგუსტაციისა და ქართულ ტკბილეულის დაგემოვნებისთვის ადგილს, და სხვას. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების/ახალგაზრდების სტაჟირების პროგრამა განხორციელდება კერძო სექტორთან თანამშრომლობით. ახალგაზრდა ადგილობრივებს ექნებათ საკუთარი უნარების განვითარების შესაძლებლობა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, ტურიზმის განვითარებაზე პასუხისმგებელ გორის მუნიციპალიტეტის დეპარტამენტებში, ადგილობრივ კომპანიებსა და საწარმოებში სტაჟირებების საშუალებით.

პროექტის აქტივობები მოიცავს: 1. ადგილობრივი ბიზნესებიდან შემოთავაზებების განხილვის მიზნით დაფუძნდება კერძო და საჯარო სექტორებს (P&P) შორის პარტნიორობა; 2. საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან პარტნიორობით, გორის მუნიციპალიტეტი მოაწყობს სამუშაო შეხვედრებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლებისთვის, ქალაქის საერთაშორისო ვიზიტორებისთვის შესაფერისი ხარისხის სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად; 3. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შემუშავდება სპეციალური ტრენინგ პროგრამა ტურიზმის სექტორში სტუდენტებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების

გაუმჯობესებისთვის; 4. ბიზნეს კონსულტაციები და რჩევის სერვისები (ჯგუფური ან ინდივიდუალური) ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი მცირე და საშუალო ზომის საწარმოების და სტუდენტებისა და ახალგაზრდებისთვის, მათი ბიზნესის წამოწყებასა ან განვითარებაში დასახმარებლად.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები შემდეგია: 45 მცირე და საშუალო ზომის საწარმო გაიუმჯობესებს საკუთარ უნარებს ტურიზმის განვითარების სფეროში; წლიურად სულ მცირე 30 სტუდენტი/ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას ტრენინგ-პროგრამებში, ტურიზმის სფეროში მათი კარიერული განვითარებისთვის; ეროვნული ხელნაკეთი ნივთების ან/და სხვა სუვენირებისა და პროდუქტების წარმოებისთვის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე შეიქმნება სულ მცირე 7 სამუშაო სივრცე/სამუშაო შეხვედრა (საერთო ჯამში 200მ^2); 20-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება გორში ტურისტული ინფრასტრუქტურული კომპლექსის სხვადასხვა ნაწილში. შედეგად, პროექტი წვლილს შეიტანს გორის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებასა და მდგრად ეკონომიკურ ზრდაში. (https://euneighbourseast.eu/ka/projects/eu-project-page).

ამ ეტაპისთვის აღნიშნული პროექტის ფარგლებში დასრულებული სამუშაოები მოიცავს: "26 მაისის" სახელობის სკვერის რეაბილიტაციას, რაც მოიცავდა პარკის 230 კვ.მ არსებული შენობის რეაბილიტაციას. შენობა უმასპინძლებს ხელოვნების გამოფენებს, ადგილობრივ და საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებს.. ასევე აიგო ახალი შენობა, (291.5 კვ.მ), სადაც ტურისტული საინფორმაციო ცენტრს მოიცავს, ბარგის შესანახი კამერები, სუვენირების მაღაზიები და სან. კვანძები მოეწყო. იგივე შენობაში ბიზნეს საკონსულტაციო სერვისები განთავსდება, რომელიც ახალგაზრდებსა და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს კონსულტაციას გაუწევს, ბიზნესის წარმატებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. მოხდა ცნობილი "ლომჭაბუკის" ძეგლის (ავტ. ზ. წერეთელი) აღდგენა-რესტავრაცია. პარკის მთელ ტერიტორიაზე (8350 კვ.მ). მოეწყო მწვანე საფარი, საირიგაცი სისტემა, განათება, სკამები და ბილიკები, ავტო-პარკინგი, გორის ციხის გარშემო საფეხმავლო ბილიკი, ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე სახელოსნოები (ტრადიციული რეწვისა და კულინარიის სივრცეები) მოწყო, სუვენირების სარეალიზაციო სივრცისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოების მშენებლობა ველო-ბილიკებისა და ველო-პარკინგის მოწყობა; მოხდა გორის ციხესთან მისასვლელი ძირითადი ბილიკის რეაბილიტაცია. დაიწყო ისტორიული ე.წ. ძველი ხიდის რეაბილიტაცია, რომლის დასრულებაც წლის ბოლოს იგეგმება.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ტურისტულ სეზონზე ტურისტთა ნაკადები მნიშვნელოვნად გაიზრდილია გორის მუნიციპალიტეტში, ტურიზმის განყოფილების მიერ წამოებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად მიმდინარე წელის 1 იანვრიდან 3 ოქტომბრამდე გორის მუნიციპალიტეტს 193 132 ვიზიტორი ესტუმრა, მათ შორის 160 784 უცხო ქვეყნის მოქალაქეა. ჩვენს მიერ ტურისტული კომპლექსის ტერიტორიაზე განხორციელდა გამოკით ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ჩართულობით, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურისტებმა. კვლევის პროცესში პირდაპირი ინტერვიუების მეთოდის გამოყენებით გამოიკითხა ტურიზმის საინორმაციო ცენტრში დაფიქსირებული ვიზიტორები, აგრეთვე გამოიკითხვა ჩატარდა ი.ბ. სტალინის სახლმწიფო მუზეუმში. კვლევაში მონაწილე ტურისტების მხრიდან დაფიქსირდა ლატენტური მოთხოვნა (Latent Demand), ტურისტების მიერ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში დაფიქსირდა მოსაზრებები, დესტინაციაზე ტურიზმის არასაკმარის დონეზე განვითარებასთან დაკავშირებით. ასევე, აღინიშნა, რომ ქალაქი გორი ვერ უზრუნველყოფს

მათ სასურველი პროდუქტითა თუ მომსახურებით. მათი აზრით შესაძლებელია, რომ გორს ჰქონდეს მოთხოვნის მხრივ მეტი უპირატესობა ტურისტული პროდუქტის წარმოებაზე, რაც გამოიხატება მოქმედი ანუ ფაქტობრივი ტურიზმით, ვიზიტორთა რაოდენობით. იმედი გამოითქვა, რომ მიმდინარე ინფრასტრუქტურული რეფორმები გააუმჯობესებს ხარისხს.

კითხვები ძირითადად ეხებოდა ტურისტული კომპლექსის შეფასებას, განსაკუთრებით ტურისტული მომსახურების ხარისხის დონეს, რამდენად უზრუნველყოფს ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურა მომსახურების ხარისხს, რამ განაპირობა ვიზიტი და როგორი იყო ვიზიტის ხანგრძლივობა გორის მუნიციპალიტეტში. (დიაგრამა1,2)

დიაგრამა 1.



დიაგრამა 2



კვლევამ აჩვენა, რომ ტურიზმის განვითარების პროცესი დინამიურად მიმდინარეობს. რესპონდენტების აზრით, წარსულთან შედარებით, ტურიზმი საკმაოდ კარგად ვითარდება, ჩანს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც ტურისტების რაოდენობაზე პოზიტიურად აისახება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ქალაქს უამრავი გამოწვევა აქვს მომსახურების ხარისხის, ტურისტული მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან განათლების/უცხო ენის არ ცოდნის მაღალი კლასის სასტუმროების სიმცირის, მუზეუმებში უცხოენოვანი გიდების სიმცირის, სველი წერტილების არასაკმარისი რაოდენობის მხრივ და ა. შ. რაც შეეხება ქალაქის ახალ ტურისტულ ინფრასტრუქტურას 10 ქულიანი სისტემით შეფასებისას უმეტესობა (72%) აფასებს დადებითად (დიაგრამა 2).

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა სასტუმროს სექტორში არსებული კონკრეტული ნაკლოვანებებიც, რაც ჯერ კიდევ განვითარებად მდგომარეობაშია. იმისთვის, რომ ნაშრომში განთავსების საშუალებების შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სახე გვეჩვენებინა, ინფორმაცია მოვიძიეთ წყაროებიდან: Booking.com, Airbnb.com, OpenStreetMap, Google Maps, HERE Maps და ა.შ. განთავსების საშუალებების სახეობების მიხედვით ქალაქში წარმოდგენილია შედარებით მაღალი კლასის სასტუმროები, საოჯახო სასტუმროები, ჰოსტელები, სასტუმრო სახლები. ამ ჩამონათვალიდან ყველაზე მეტად საოჯახო სასტუმროებია (84%) გავრცელებული. ქალაქში არსებობს მხოლოდ 5 კოლექტიური განთავსების საშუალებები და 31 საოჯახო ტიპის სასტუმრო. ოთახების ჯამური რაოდენობა 126, საწოლების ჯამური რაოდენობა 292. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საწოლების რაოდენობაა, რომლის მიხედვით ხდება ტურისტების მიღების პოტენციალის შეფასება. მაგ. სასტუმრო „გოლდი“ უზრუნველყოფს 42 ადამიანის მიღებას, 19

სანომრე ფონდით; სასტუმრო ვიქტორია 16 ნომრით, უზრუნველყოფს 32 ადამიანის მიღებას, სასტუმრო „ლაქი“ აღჭურვილია 20 სანომრე ფონდით და 46 ადგილით, სასტუმრო „ინტურისტი“ სთავაზობს მომხმარებელს 20 ადამიანის მიღების შესაძლებლობას (8 ნომერი და ერთი ლუქსი). რაც შეეხება საოჯახო სასტუროებს, გთვლილია მცირა რაოდენობის სტუმარზე, აქ მეტ-ნაკლებადაა მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და ამასთან ვერც ერთი მათგანი ვერ უზრუნველყოფს სრულ და ხარისხიან მომსახურებას. ქალაქ გორისთვის სიახლეა მაღალი კლასის 120 ნომრიანი სასტუმროს გორი-ინ მშენებლობა, რომელიც ვფიქრობთ დადებითად შეცვლის ტურისტთა განთავსებას და დარჩენის ხანგრძლივობას ქალაქის ტერიტორიაზე და უზრუნველყოფს ხარისხიან მომსახურებას.

ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი მიკროეკონომიკის ამოცანაა ეკონომიკური ზემოქმედების შესწავლა ანუ, ერთის მხრივ, რომელი ფაქტორები განსაზღვრავს ტურისტის ერთობლივ დანახარჯს და მეორეს მხრივ, როგორ ეკონომიკურ ზემოქმედებას ახდენს ტურიზმი ეკონომიკაზე მულტიპლიკატორული ეფექტის ზემოქმედების შეშვეობით. ადგილობრივ დონეზე გორის მუნიციპალიტეტში გაზომვადი სტატისტიკური მონაცემებით წარმოდგენილი ფაქტობრივი შედეგები მეტყველებს ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია. რაც შეეხება მიწოდებას, შეიძლება ითქვას მრავალი პრობლემაა, ტურიზმის სექტორის წარმატებული განვითარება გორის ტერიტორიაზე, მოითხოვს მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნას და ტურისტული ბაზრის განვითარებას. უნდა შეიქმნას პროდუქტი, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე ტურისტის მოთხოვნილებათა და მოლოდინის დაკმაყოფილებას. გასათვალისწინებელია სხვადასხვა კომპონენტების განვითარება, როგორიცაა ტურისტული ატრაქციები და აქტივობები, ბრენდული ტიპის განთავსების საშუალებები, სატრანსპორტო მომსახურეობა და სხვა.

დასკვნები. გორში არაერთხელ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალაქ გორის ცხოვრებაში პრიორიტეტულია ტურიზმის დარგის განვითარება, თუმცა პრაქტიკულ შედეგებს ვერ აღწევს. არსებობს მთელი რიგი პრობლემები, წარმატების მისაღწევად აუცილებელია ადგილობრივი ტურისტული რესურსებით კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის შესაქმნა, ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა. უცხოელი ტურისტების მოზიდვა და შიდა ტურიზმის განვითარება. ტურისტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ზღუდავს მუნიციპალიტეტში ვიზიტორების შემოდინებას და შესაბამისად, მათი მოგზაურობის ფორმა ტრანზიტულია ხშირ შემთხვევაში. ნაკლებია ტუროპერატორების ჩართულობა, ვერ ხერხდება ტურპროდუქტის წინ-წაწევა. ტურისტულ ობიექტებზე მომსახურებას ვერ უზრუნველყოფენ უცხოენოვანი კვალიფიცირებული მომსახურე პერსონალით. ქალაქს ტურისტების განთავსება დიდი რაოდენობით მიღება არ შეუძლია, სასტუმროთა საწოლი ფონდის მცირის გამო. ვფიქრობთ ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი შეცვლის ტურისტული კომპლექსის შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტში ეკონომიკურ განვითარებას და შექმნის მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის ახალ შესაძლებლობებს. ქალაქში ჩამოსულ ტურისტს გაუჩენს უფრო ხანგრძლივად დარჩენის და კვლავ დაბრუნების სურვილს.

როგორც ქვეყნის სხვა ქალაქებში აქაც ქალაქის მდგრადი ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით უამრავი გამოწვევაა, საჭიროა შემუშავდეს სტრატეგია რომელიც გაითვალისწინებდა ევროკავშირის სტანარტებს, ხელი უნდა შეეწყოს რეფორმებს ისეთი სახით გატარებას, რომ მოხდეს ევროკავშირის ქვეყნებიდან მაღალმხარჯველუნარიანი ტურისტების მოზიდვა, რომელიც დადებითად აისახება ეკონომიკის მდგრად განვითარებასა და წინსვლაზე.

მნიშვნელოვანია რესურსების კომპლექსური შეფასება, ისტორიულ-კულტურული რესურსები, სოციალურ-ეკონომიკური რესურსების შეფასება, ტურისტების მხრიდან და ტურისტული საქმიანობის ორგანიზატორების პოზიციიდან. მნიშვნელოვანია გაიზარდოს გორის მოსახლეობის ცნობადობის დონე ტურიზმის სფეროს შესახებ. ჩამოყალიბდეს გლობალური ხედვა (დაგეგმვა და განვითარება არ უნდა მოხდეს იზოლირებულად); დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა (არა მხოლოდ ადგილობრივი კონტროლი არამედ თანამშრომლობა); გრძელვადიანი დაგეგმვა (გრძელვადიანი ხედვის წინ წამოწევა, სადაც ყოველი ქმედება თვითმდგრადია). მდგრადობისა და ხარისხის თანაფარდობა (ხარისხიანი იყვეს დანიშნულების ადგილი ან პროდუქტი, ასევე ტურისტი ზრუნავდეს გარემოს შენარჩუნებაზე); ადგილობრივი ეკონომიკა უნდა ისწრაფოდეს მდგრადი ზრდისა და უფრო მაღალი პროდუქტიულობისკენ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის (ქართული თარგმანი) https://mfa.gov.ge.

გრძელიშვილი, ნ. კვარაცხელია, ლ. (2022). ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები. თბ.: „მწიგნობარი“.

გუგუშვილი, გ. სულაქვაძე, გ. (2018). ქალაქ გორის ურბანული განვითარების მიმართულებების პრიორიტეტიზაცია (ურბანული განვითარების მიმართულებებისათვის წონების მინიჭების მეთოდოლოგია).

დევაძე, ნ. (2019). ტურიზმის მდგრადი განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის ძირითადი მიმართულებები, ბათუმი.

მდგრადი განვითარების მიზნები – „მდგრადი განვითარების მიზნები“, „გაერო საქართველოში“, http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_ goals#.XRpuGz8zbIU.

ნონეშვილი, ა. თავართქილაძე, ა. (2012). საქართველოს *100* მუზეუმი . თბილისი: კლიო.

პავლიაშვილი, ნ., ხარაბაძე, კ. (2009). საქართველოს გეოგრაფია. თბ. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი.

მდგრადი განვითარების მიზნები – 2030 - European.ge european.ge/dghis-wesrigi-mdgradi/

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. 2018-2021 წ. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“, http://www.mrdi.gov.ge/ge/news/

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო. 2020.

საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2022.

საქართველოს მუზეუმების ასოციაცია. (2017). Georgian Museums - ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი: http://www.georgianmuseums.ge.
საქართველოს მუზეუმების ასოციაცია. (2017). Georgian Museums - სერგი მაკალათიას სახელობის
გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი http://www.georgianmuseums.ge/
საქსტატი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge
სტალინის მუზეუმი. (2017). http://www.stalinmuseum.ge
ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი – TravelGIS. (2017). http://travelgis.ge/
Developing Sustainable Tourism, Guide for Local Authorities, A Tourism and Environment Publication, WTO, 1998.
https://euneighbourseast.eu/ka/projects/eu-project-page/
https://www.heritagesites.ge/ka
http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/g/goris_cixe.html
https://wedocs.unep.org/handle/20.500.11822/8741;jsessionid=6B5BF899A7F553116F538AF02DEF7FDAUNWTO and UNEP (2005). Making Tourism More Sustainable – A guide for policy makers.
UNWTO and UNEP (2005) Making Tourism More Sustainable – A guide for policy makers: http://www.unep.fr/shared/publications/pdf/dtix0592xpa-tourismpolicyen.pdf

References

Weaver, D. (2006). Sustainable tourism: Theory and practice. Oxford, United Kingdom: Butterworth Heinemann.
WTO (1993) Sustainable tourism development: guide for localplanners, Madrid: World Tourism Organisation.